საქართველოს მთავრობის

დადგენილება №256

2015 წლის 5 ივნისი

ქ. თბილისი

იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვების მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით

მუხლი 1

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2015 წლის 8 მაისის საქართველოს კანონის (№3602-რს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვების მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვების მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით

1	ავსტრალიის თანამეგობრობა
2	ავსტრიის რესპუბლიკა
3	ამერიკის შეერთებული შტატები
4	არაბთა გაერთიანებული საამიროები
5	ახალი ზელანდია
6	ბაჰრეინის სამეფო
7	ბელგიის სამეფო
8	ბულგარეთის რესპუბლიკა
9	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
10	დანიის სამეფო
11	დანიის სამეფოს ტერიტორიები – ფარერის კუნძულები და გრენლანდია
12	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
13	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები – ბერმუდის კუნძულები, კაიმანის

	კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერკსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი
14	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული ტერიტორიები – ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი
15	ესპანეთის სამეფო
16	ესტონეთის რესპუბლიკა
17	იაპონია
18	ირლანდიის რესპუბლიკა
19	ისლანდია
20	ისრაელის სახელმწიფო
21	იტალიის რესპუბლიკა
22	კანადა
23	კატარის სახელმწიფო
24	კვიპროსის რესპუბლიკა
25	კორეის რესპუბლიკა
26	ლატვიის რესპუბლიკა
27	ლიტვის რესპუბლიკა
28	ლიხტენშტაინის სამთავრო
29	ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო
30	მალტის რესპუბლიკა
31	ნიდერლანდების სამეფო
32	ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები – არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები
33	ნორვეგიის სამეფო
34	ომანის სასულთნო
35	პოლონეთის რესპუბლიკა
36	პორტუგალიის რესპუბლიკა
37	რუმინეთი
38	საბერძნეთის რესპუბლიკა

39	საფრანგეთის რესპუბლიკა
40	საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიები – საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია
41	საუდის არაბეთის სამეფო
42	სლოვაკეთის რესპუბლიკა
43	სლოვენიის რესპუბლიკა
44	უნგრეთი
45	ფინეთის რესპუბლიკა
46	ქუვეითის სახელმწიფო
47	შვედეთის სამეფო
48	შვეიცარიის კონფედერაცია
49	ჩეხეთის რესპუბლიკა
50	ხორვატიის რესპუბლიკა

საქართველოში შემოსვლის ვადები და პირობები:

1. უცხოელებს, რომლებსაც აქვთ დანართში მითითებული რომელიმე ქვეყნის ვიზა ან/და ბინადრობის ნებართვა, შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და ყოფნა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში, 90 კალენდარული დღის ვადით.

2. საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ყოფნის მიზნით, შესაბამისი ქვეყნის ვიზა ან/და ბინადრობის ნებართვა მოქმედი უნდა იყოს საქართველოში შემოსვლის (საზღვრის გადაკვეთის) დღისთვის, რაც უნდა დასტურდებოდეს სამგზავრო ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტით.

[3. ამ დადგენილებით დამტკიცებული ჩამონათვალის დანართ №1-ში მოცემული იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ არაბთა გაერთიანებული საამიროების, ბაჰრეინის სამეფოს, საუდის არაბეთის სამეფოს, კატარის სახელმწიფოს, ქუვეითის სახელმწიფოსა და ომანის სასულთნოს მრავალჯერადი ვიზა ან/და ბინადრობის ნებართვა, დადგენილი წესით, საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და ყოფნა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ მათი საქართველოში შემოსვლის (საზღვრის გადაკვეთის) დღისთვის, მრავალჯერადი ვიზის ან/და ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა არის არანაკლებ 1 წლისა, რაც უნდა დასტურდებოდეს სამგზავრო ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტით. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 16 მაისიდან)].***

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 აპრილის დადგენილება №122 – ვებგვერდი, 22.04.2025წ.

[დანართი №1

იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც არაბთა გაერთიანებული საამიროების, ბაჰრეინის სამეფოს, საუდის არაბეთის სამეფოს, კატარის სახელმწიფოს, ქუვეითის სახელმწიფოსა და ომანის სასულთნოს მრავალჯერადი

ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვების საფუძველზე შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით

1	ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა
2	ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა
3	განის რესპუბლიკა
4	ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა
5	ერიტრეას სახელმწიფო
6	იემენის რესპუბლიკა
7	კამერუნის რესპუბლიკა
8	კოტ-დ'ივუარის რესპუბლიკა
9	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა
10	მაროკოს სამეფო
11	ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა
12	პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა
13	სომალის ფედერაციული რესპუბლიკა
14	სირიის არაბთა რესპუბლიკა
15	სუდანის რესპუბლიკა
16	ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა
17	უგანდის რესპუბლიკა.

(ამოქმედდეს 2025 წლის 16 მაისიდან)].

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 აპრილის დადგენილება №122 – ვებგვერდი, 22.04.2025წ.